ანაგი
სამშენებლო კომპანია

# 35

ოცდათხუთმეტი ამბავი ანაგის შესახებ

ANAGI
CONSTRUCTION COMPANY

THIRTY-FIVE STORIES ABOUT ANAGI

2024

# 35

წ ლ ი ს ა ა

Y E A R S

# ამბავი პირველი
# THE FIRST STORY




## 1989 წელი – დაფუძნდა კომპანია „ანაგი“

სამშენებლო კომპანია „ანაგის“ დაარსება გარდამავალ პერიოდს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, დაემთხვა. გეგმური ეკონომიკიდან საქართველო საბაზრო ეკონომიკაზე გადადიოდა, საკუთარი საქმის წამოწყება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის სიახლე იყო და გამბედაობას მოითხოვდა. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ზაზა გოგოტიშვილი ერთ-ერთი იყო, ვინც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტა.

„ჩვენი ოჯახი ხის სახლში ცხოვრობდა და ალბათ მაშინ დავიწყე ფიქრი, რომ სახლი უნდა ამეშენებინა...“ – იგონებს ზაზა გოგოტიშვილი, „ანაგის“ დამფუძნებელი.

საკუთარი სახლის აშენება მოტივაცია გახდა კომპანიის მომავალი დამფუძნებლისათვის, უფრო აქტიურად ჩართულიყო მშენებლობაში. სწორედ ამ მოტივაციამ ჩაუყარა საფუძველი კომპანია „ანაგის“ დაარსებას 1989 წელს.

## 1989 – ANAGI CONSTRUCTION COMPANY IS FOUNDED

The establishment of the Anagi Construction Company coincided with the declaration of independence in Georgia. Crucially, during this period of transition, Georgia was shifting from a planned economy to a market economy. For the majority of people, embarking on entrepreneurship was regarded as a novelty, and it required bravery.
Although young, Zaza Gogotishvili was among those early pioneers who chose to establish their own company.

“Our family lived in a wooden house, and perhaps it was then that I started thinking about building a house...” – recalls Zaza Gogotishvili, the founder of Anagi.

This aspiration to build a home of his own served as inspiration for the prospective company founder to become more actively involved in the construction industry. This desire soon became the driving force behind the founding of the Anagi Construction Company in 1989.



# ამბავი მეორე
# THE SECOND STORY

## 1990 წელი – დაიწყო პირველი ობიექტის მშენებლობა

პირველი შეკვეთის მიღება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. დამწყებ ბიზნესმენებს პოტენციური დამკვეთები გასული საუკუნის 90-იანი წლების გარიჟრაჟზე უნდობლად და ხშირად ირონიულად ეკიდებოდნენ. ერთ-ერთი პირველი ობიექტი, სადაც ზაზა გოგოტიშვილი პარტნიორთან ერთად მივიდა, ღვინის ქარხანა იყო.

ხელშეკრულება მალევე გაუფორმეს, რადგან განფასების წარდგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ანაგმა“ დამკვეთს იმ ფასის ნახევარი შესთავაზა, რომელსაც მსხვილი სამშენებლო ტრესტი სთავაზობდა.

პირველივე ობიექტი რთული აღმოჩნდა, რადგან დამკვეთის მოთხოვნით, მშენებლობის პროცესს არ უნდა შეეფერხებინა ღვინის ქარხნის ჩვეული საქმიანობა. „ანაგის“ ახალგაზრდა გუნდმა ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა.

## 1990 – THE FIRST CONSTRUCTION BEGINS

Obtaining an initial order proved to be rather challenging. In the early 1990s, prospective customers frequently viewed new businessmen with both skepticism and cynicism. A winery was among one of the first clients that Zaza Gogotishvili and his companion approached.

As soon as their estimate was submitted, they discovered that Anagi had offered the consumer a proposal at half the price a large construction trust was charging. As a result, their first contract was quickly signed.

The initial task proved challenging as, per the customer’s request, the construction process could not disrupt the winery’s operations. Nevertheless, this undertaking was successfully accomplished by the nascent Anagi team.







## 1991-1999 წლები – „ანაგმა“ შეასრულა 25 სარეკონსტრუქციო პროექტი

კომპანიის საქმიანობის პირველი წლები საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდს, მე-20 საუკუნის 90-იან წლებს დაემთხვა. სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები, კრიმინალის მაღალი მაჩვენებელი, სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა და ბევრი სხვა ფაქტორი ხელს უშლიდა ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებას.

მიუხედავად ამისა, კომპანიამ ქვეყნისთვის ასეთ რთულ პერიოდში შეძლო სტაბილურობის შენარჩუნება და XXI საუკუნეს 25-ამდე დასრულებული სარეკონსტრუქციო პროექტით შეხვდა.

## 1991-1999 – ANAGI CARRIES OUT 25 RECONSTRUCTION PROJECTS

The first years of the company's activity coincided with the most challenging time in Georgia's recent history – the 1990s. Weak government institutions, high crime rates, civil war, loss of territories, and numerous other factors all impeded successful business operations.

However, the company still maintained its stability during one of the hardest periods, and it entered the twenty-first century with up to 25 successfully completed reconstruction projects.

ამბავი მესამე
THE THIRD STORY

# ამბავი მეოთხე
# THE FOURTH STORY

## 2000 წელი – დასაქმებულთა რაოდენობამ 1 000 ადამიანს მიაღწია

XXI საუკუნის დასაწყისისთვის კომპანიის გუნდი მნიშვნელოვნად გაიზარდა. პატარა კომპანია ამ დროისთვის  უკვე დიდ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და 2000 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 1000 ადამიანს მიაღწია.

დღეისათვის კომპანიაში 3000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო პროცესში ჩართულ იმ ინჟინერ-მშენებელთა სამუშაო გამოცდილება, რომლებსაც წამყვანი თანამდებობები უკავიათ, 15 წელს აღემატება. „ანაგის“ წარმატება დიდწილად სწორედ მათმა მაღალმა პროფესიონალიზმმა განაპირობა.

## 2000 – ANAGI REACHES 1,000 EMPLOYEES

By the turn of the twenty-first century, the company's workforce had expanded substantially. With a labor force of one thousand individuals in 2000, this modest business had already grown into a sizeable organization.

At present, Anagi maintains a workforce that exceeds 3,000 personnel, and it is noteworthy that the most skilled construction engineers and builders have over 15 years of professional experience. This level of professionalism has always been a major factor in Anagi's success.











## 2005 წელი – დაფუძნდა პირველი შვილობილი კომპანია

პირველი მნიშვნელოვანი ინვესტიცია კომპანიამ 2005 წელს განახორციელა – „ანაგმა“ დააფუძნა კომპანია „ანაგი ბეტონი“, რომელიც ბეტონის თანამედროვე ქარხანას ამუშავებს.

წარმოების ბაზაზე განთავსებულია ერთი მობილური და ერთი სტაციონარული კვანძი წარმადობით 240 მ³/ საათში მშენებლობისთვის საჭირო ნებისმიერი კლასის ბეტონის პროდუქციას აწარმოებს. ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია ქვის სამტვრევის თანამედროვე როტორული ქარხანა.

## 2005 – THE FIRST SUBSIDIARY COMPANY IS FOUNDED

In 2005, the business made its first sizeable investment and the company founded the enterprise Anagi Betoni, which runs an advanced concrete production factory.

At its production base, there are two units: one mobile and one stationary. They provide the capacity to produce any construction-grade concrete product required, while maintaining a production capacity of 240 m³ per hour. Anagi Betoni also houses a modern rotary stone crushing facility on its territory.

ANAGI BETONI



# ამბავი მეხუთე
THE FIFTH STORY



# ამბავი მეექვსე
# THE SIXTH STORY



## 2008 წელი – დასრულდა პირველი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა

სასტუმრო „ჯორჯია პალას ოტელი“, რომლის მშენებლობაც „ანაგმა“ 2006 წელს დაიწყო, ქართული კომპანიის აშენებული პირველი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროა.

„პროექტი ფაქტობრივად არ გვქონდა, არქიტექტორი პატარა ფურცლებზე ხელით გვიხაზავდა, გვიხატავდა და გვიტოვებდა...“ – ზაზა გოგოტიშვილი.

„ამ პერიოდში ქობულეთისთვის ეს სერიოზული განაცხადი იყო. მას მერე რამდენი სასტუმროც შენდება ქობულეთში, კერძო, პატარა თუ დიდი სასტუმროები, ყველა ცდილობს, ჩვენს სტანდარტებს მოერგოს“ – იგონებს თემურ ჭყონია, „ჯორჯია პალას ოტელის“ დამფუძნებელი.

## 2008 – CONSTRUCTION OF THE FIRST 5-STAR HOTEL IS COMPLETED

Anagi initiated construction on the Georgian Palace Hotel on the Black Sea coast in 2006. It stands as the inaugural 5-star hotel erected by a Georgian company.

“In reality, we did not have the project as such. The architect would sketch and provide us with the drawings on small pieces of paper” – Zaza Gogotishvili.

“This was a serious undertaking for Kobuleti at that time. Subsequently, irrespective of the number of hotels constructed in Kobuleti, whether privately owned, small-scale, or large-scale establishments, everyone conforms to the standards we established” – noted Temur Chkhonia, the owner of the Georgian Palace Hotel.




# ამბავი მეშვიდე
# THE SEVENTH STORY

## 2008 – დასრულდა პირველი პროექტის განხორციელება თბილისში

2007 წელს „ანაგი“ განვითარების ახალ ეტაპზე გადადის და იწყებს პირველი სამშენებლო პროექტის განხორციელებას თბილისში. ეს იყო „მაკ დონალდსი“ – სწრაფი კვების რესტორნების უმსხვილესი ქსელი მსოფლიოში.

ობიექტის მშენებლობა „ანაგმა“ 8 თვეში დაასრულა. პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ ის უკვე ინტენსიურად იწყებს დედაქალაქში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას.

## 2008 – THE IMPLEMENTATION OF THE FIRST PROJECT IN TBILISI HAS BEEN COMPLETED

In 2007, Anagi entered a new stage of development and began the implementation of its first construction project in the Georgian capital, Tbilisi. The building itself was a McDonald's restaurant – the largest fast-food chain in the world.

Anagi undertook the construction over eight months. And, following the project's successful completion, Anagi endeavored to implement even more initiatives throughout the capital.



## 2010 წელი – დასრულდა ბათუმის პიაცას კოშკის მშენებლობა

„ანაგის“ ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია ბათუმის პიაცაზე აშენებული კოშკი, რომელშიც სასტუმრო „Piazza Boutique“ განთავსდა. კოშკის აგებიდან მალევე მოედანი ბათუმში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობა გახდა, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს.

70-მეტრიან შენობას გამოარჩევს კოშკზე დამონტაჟებული ფრანგული წარმოების საათი, რომლის ქვეშ ორფრთიანი კარია, საიდანაც დანიშნულ დროს მექანიზმის ამოქმედებით ქართულ ეთნიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი ფიგურები ჩნდებიან.

## 2010 – CONSTRUCTION OF PIAZZA TOWER IN BATUMI HAS BEEN COMPLETED

The tower erected on Batumi's piazza is among Anagi's remarkable constructions, which also houses the Piazza Boutique Hotel. Following the tower's construction, the square quickly gained popularity as one of the city's most visited locations.

The 70-meter-high building is notable for a French-made clock installed centrally within the tower. Positioned above a double-winged door, the clock also activates a mechanism that triggers the appearance of figures dressed in traditional Georgian attire.

ამბავი მერვე
THE EIGHTH STORY

# ამბავი მეცხრე
# THE NINTH STORY

## 2011 წელი – „ანაგს“ მიენიჭა პირველ საერთაშორისო სერტიფიკატი

კომპანიის პოლიტიკა ხარისხის სფეროში მიმართულია სამშენებლო სამუშაოების მუდმივი გაუმჯობესებისაკენ, რითაც ის თავის პოზიციას ამყარებს ბაზარზე.

2011 წელს „ანაგმა“ წარმატებით გაიარა სერტიფიცირების პროცესი და მიიღო ხარისხის მართვის სისტემის პირველი საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001 ბრიტანული საერთაშორისო კომპანია „Lloyd's Register-ისგან“.

---

## 2011 – ANAGI IS AWARDED ITS FIRST INTERNATIONAL CERTIFICATE

The company's quality policy has been designed to ensure ongoing enhancements in construction, thereby boosting its market standing.

Following a successful certification process, in 2011 Anagi received its first international certificate for the quality management system (ISO 9001) from Lloyd's Register, the British international firm.


LRQA Business Assurance

CERTIFICATE OF APPROVAL

This is to certify that the Quality Management System of:

**ANAGI LLC**
**45/2, V. Pshavela Str. 6009,**
**Batumi GEORGIA**

has been approved by Lloyd's Register Quality Assurance to the following Quality Management System Standards:

**ISO 9001:2008**

The Quality Management System is applicable to:

**Civil and Industrial Construction**

Approval
Certificate No: IST6011731

Original Approval: 15 September 2011
Current Certificate: 15 September 2011
Certificate Expiry: 14 September 2014

Issued by: Lloyd's Register Gözetim Ltd Sti for and on behalf Of Lloyd's Register Quality Assurance Limited

UKAS 001

This document is subject to the provision on the reverse


Lloyd's Register

Certificate of Approval

This is to certify that the Management System of:

ANAGI Ltd

37-39, Kostava Str. 0179, Tbilisi, Georgia

has been approved by LRQA to the following standards:

ISO 9001:2015

Gilles Bessiere - Area Technical Manager
Issued by: Lloyd's Register Gozetim Ltd Sti
for and on behalf of: Lloyd's Register Quality Assurance Limited

Current issue date: 29 August 2019
Expiry date: 12 August 2022
Certificate identity number: 10215253

Original approval(s):
ISO 9001 – 15 September 2011

Approval number(s): ISO 9001 – 0030834

The scope of this approval is applicable to:
Civil and Industrial Construction

UKAS Management Systems 001


LRQA

Current issue date: 29 July 2022
Expiry date: 12 August 2025
Certificate identity number: [illegible]

Original approval(s):
ISO 9001 – 15 September 2011

**Certificate of Approval**

This is to certify that the Management System of:

**ANAGI Ltd**

37-39, Kostava Str. 0179, Tbilisi, Georgia

has been approved by LRQA to the following standards:

**ISO 9001:2015**

Approval number(s): ISO 9001 – 0030834

**The scope of this approval is applicable to:**
Civil and Industrial Construction

**Paul Graaf**

Area Operations Manager, Europe

Issued by: LRQA Limited

Issued by: LRQA Limited, 1 Trinity Park, Bickenhill Lane, Birmingham B37 7ES, United Kingdom

Page 1 of 1

## 2011 წელი – გაიხსნა კომპანიის პირველი ოფისი თბილისში

2010 წლიდან იზრდება დაკვეთების რაოდენობა საქართველოს დედაქალაქში. სამშენებლო პროექტების უფრო ეფექტურად მართვის მიზნით კომპანიამ ბათუმის შემდეგ ოფისი 2011 წელს თბილისში გახსნა.

დღეისათვის თბილისის ოფისში დასაქმებულია 120, ხოლო ბათუმის ოფისში – დაახლოებით 80 თანამშრომელი.

## 2011 – THE FIRST COMPANY OFFICE WAS OPENED IN TBILISI

Since 2010, there has been an increase in the number of orders placed within the capital of Georgia. To manage construction projects more efficiently, the company established its first office in Tbilisi in 2011.

At present, the Tbilisi office employs 120 staff members, while the Batumi office maintains approximately 80 employees.

# ამბავი მეათე
# THE TENTH STORY



# ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ
# THE ELEVENTH STORY



## 2013 ᲬᲔᲚᲘ – ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲐᲜᲐᲒᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ“

სამშენებლო ტექნიკისა და მანქანა-დანადგარების ეფექტურად და მაღალკვალიფიციურად მართვის მიზნით სამშენებლო კომპანია „ანაგმა“ 2013 წელს კომპანია „ანაგი მექანიზაცია“ დააფუძნა. კომპანია უზრუნველყოფს „ანაგს“ სამშენებლო ტექნიკითა და მანქანა-დანადგარების ფართო სპექტრით.

„დღეისათვის 170-ამდე ტექნიკის ერთეული და მანქანა-დანადგარია ჩვენს განკარგულებაში. ტექნიკის ზრდასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევთ ტექნიკის თანამედროვეობას. მიმაჩნია, რომ საკუთარი ტექნიკის შესაძენად ინვესტიციის ჩადება უფრო მომგებიანია კომპანიისთვის, ვიდრე იჯარით აღება“ – ირაკლი მელიმონაძე, „ანაგი მექანიზაციის“ დირექტორი.

## 2013 – THE ANAGI MECHANIZATION COMPANY IS FOUNDED

The company established Anagi Mechanization in 2013, which was intended to facilitate the proficient and effective management of construction machinery and equipment. The company has since provided Anagi with a wide range of machinery and construction equipment.

“Today we have about 170 equipment units and machines at our disposal. Along with the increase in the number of these units, we pay great attention to the modernity of the equipment. I believe that investing in the purchase of own equipment is more profitable for the company than leasing” – stated Irakli Melimonadze, Director of Anagi Mechanization.









# ამბავი მეთორმეტე

# THE TWELFTH STORY

## 2013-2015 წლები – „ანაგმა“ მიიღო დაკვეთები სამი წამყვანი დეველოპერული კომპანიისგან

2013 წელს სამშენებლო კომპანია „ანაგმა“ მიიღო დაკვეთა ერთ-ერთი უმსხვილესი ქართული დეველოპერული კომპანიისგან, კერძოდ „მ$^2$-ის“, დაკვეთა. თანამშომლობის ფარგლებში „ანაგმა“ დამკვეთის მიერ დადგენილ ვადებზე ადრე დაასრულა 200-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, „მ$^2$ ნუცუბიძეზე“, მშენებლობა.

2014 წელს კომპანიამ გააფორმა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ხელშეკრულება „ლისი დეველოპმენტთან“, ხოლო 2015 წელს კი პირველი ხელშეკრულება გაფორმდა დეველოპერულ კომპანია „არქისთან“.

სამივე კომპანიის დაკვეთის შესრულების ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ მათთან თანამშრომლობა დღემდე გრძელდება. კომპანია „არქისთვის“ „ანაგმა“ 13 საცხოვრებელი კორპუსი ააშენა, ხოლო „ლისი დეველოპმენტთან“ და „მ$^2$-თან“ თანამშრომლობის ფარგლებში კომპანიამ მთლიანად 15-ზე მეტი საცხოვრებელი კორპუსი ააგო.

## 2013-2015 – ANAGI RECEIVES ORDERS FROM THREE LEADING DEVELOPMENT COMPANIES

In 2013, Anagi received an order from m2, one of the largest Georgian development companies. As part of a collaborative effort, Anagi successfully completed construction of this 200-apartment residential building, m$^2$ on Nutsubidze, ahead of the customer’s deadline.

With the start of this project, the company soon signed another residential building construction contract with Lisi Development.

And, by 2015, the first contract been signed with the Archi.

The exceptional level of order fulfillment provided to all three organizations has also led to further long-term partnerships – Anagi has since constructed a total of 13 residential buildings for Archi, and another 15 residential buildings have been completed under the continued collaboration with Lisi Development and m$^2$.

# ამბავი მეცამეტე
## THE THIRTEENTH STORY






## 2014 წელი – „ანაგი“ გახდა პირველი ქართული კომპანია, რომელმაც საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს მშენებლობა განახორციელა

2012 წელს „ანაგი“ იწყებს პირველი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს, „ბათუმი ჰილტონის“, ორი 22-სართულიანი შენობის კონსტრუქციების მშენებლობას.

პროექტის განხორციელებას ზედამხედველობას უწევდა მსოფლიოს უმსხვილესი საერთაშორისო კომპანია „MACE“. აღსანიშნავია, რომ „MACE-თან“ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო კომპანიის ახალ, თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას.

„ამ პროექტმა ძალიან გაგვზარდა, ბევრი კარგი თვისება შევიძინეთ, ჩვენთვის, ფაქტობრივად, ახალი მიდგომა იყო მშენებლობის, ზედამხედველობის და შესრულების მხრივაც...“ – იგონებს რამაზ გოგიტიძე, სამშენებლო უბნის უფროსი.

## 2014 – ANAGI BECOMES THE FIRST IN GEORGIA TO BUILD AN INTERNATIONAL BRAND HOTEL

Anagi began construction of the twin 22-story Batumi Hilton buildings in 2012, which stands as the first international brand hotel.

The largest international company in the world, MACE, supervised the project implementation. Notably, thanks to this collaboration, Anagi was able to adopt new, contemporary standards.

“This project has greatly facilitated our personal growth, we acquired many good qualities. In fact, it provided us with a fresh perspective on construction, supervision, and execution” – recalls Ramaz Gogitidze, head of the construction site.



# ამბავი მეთოთხმეტე
# THE FOURTEENTH STORY

## 2014 წელი – დაფუძნდა ხარისხის კონტროლის პირველი სამსახური ქართულ სამშენებლო ბაზარზე

2014 წელს „ანაგმა“ დააფუძნა ხარისხისა და ტექნოლოგიების კონტროლის სამსახური, რომლის მთავარი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რამდენად შეესაბამება სამშენებლო პროცესის ნებისმიერი ეტაპი ქვეყანაში არსებულ წესებსა და ნორმებს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ატარებს შესაბამის ღონისძიებებს. სამსახური აგრეთვე სწავლობს და ნერგავს მშენებლობაში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

„ვცდილობთ, რომ ეს ჯგუფი გავაძლიეროთ. რაც წლები გადის, ისინი პროფესიულად უფრო იზრდებიან, იქ შეძენილი ორწლიანი გამოცდილება ახალგაზრდებს დამოუკიდებელ სამუშაოთა მწარმოებლად აყალიბებს. ამით კი ორ საქმეს ვაკეთებთ, გვაქვს კადრების სამჭედლოც და ახალი დეპარტამენტიც, რომელიც სიახლეა ქართულ ბაზარზე“ – ზაზა გოგოტიშვილი.

## 2014 – THE FIRST QUALITY CONTROL SERVICE FOR THE GEORGIAN CONSTRUCTION MARKET IS FOUNDED

Anagi established the quality and technology control service in 2014. Its primary objective is to ensure that each phase of the construction process is compliant with governmental regulations and standards. Should any defect be identified, the service implements appropriate measures. The service also studies and then introduces available modern construction technologies.

“We are trying to enhance this group. As the years pass, they develop professionally, and the two years of experience acquired there make young people independent when doing their jobs. With this, we kill two birds with one stone; on the one hand, we facilitate the development of personnel, and on the other, a new department is established, which was absolutely new on the Georgian market” – Zaza Gogotishivili.

# ამბავი მეთხუთმეტე
# THE FIFTEENTH STORY

## 2014 წელი – „ანაგმა“ პირველად შეასრულა ისტორიული შენობის სრული რეაბილიტაცია

დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე საკრებულოს შენობა დღევანდელი იერსახით 1878 წლიდან არსებობს. უკანასკნელი რეკონსტრუქცია, რომელიც მას 2012-2014 წლებში ჩაუტარდა, კომპანია „ანაგმა“ შეასრულა. ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ობიექტის პირველი რეკონსტრუქცია „ანაგის“ პორტფოლიოში.

„ჩვენ წინაშე იდგა ამოცანა, რომ მაქსიმალური სიზუსტით შეგვენარჩუნებინა კულტურული ძეგლის თავდაპირველი იერსახე... შედეგად, მივიღეთ ზუსტად ისეთივე ფასადი, როგორიც ისტორიულ ძეგლს ჰქონდა...“ – ირაკლი გოგოლიშვილი, გენერალური დირექტორი.

## 2014 – ANAGI COMPLETES COMPREHENSIVE REHABILITATION OF A HISTORICAL BUILDING FOR THE FIRST TIME

Between 2012-2014, Anagi carried out the reconstruction of a city council building in the central square of the capital, that which has existed in its current form since 1878. This was the first restoration of an historically important building in Anagi’s portfolio.

“The challenge we faced was to accurately preserve the original appearance of the cultural monument. Eventually, we managed to create a facade that was identical to that of the historical monument” – Irakli Gogolishvili, General Director.



# თბილისის საკრებულოს შენობა
# TBILISI ASSEMBLY BUILDING



# ამბავი მეთექვსმეტე
# THE SIXTEENTH STORY




## 2015 წელი – დასრულდა ამიერკავკასიაში პირველი სავაჭრო და გასართობი ქალაქის მშენებლობა

2013 წელს „ანაგი“ იწყებს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტის განხორციელებას. პროექტის ფარგლებში სამშენებლო კომპანია „ანაგმა“ 100 000 კვ.მ სამშენებლო ფართის სავაჭრო და გასართობი ქალაქი გააშენა.

სავაჭრო კომპლექსი, რომელიც კახეთის გზატკეცილზე მდებარეობს, ოთხი დამოუკიდებელი ბლოკისგან შედგება. კომპლექსის არქიტექტურას დამატებით მიმზიდველობას სძენს ფასადების მრავალფეროვნება, რომლისთვისაც გამოყენებულია აგურის ფაქტურის ფილები, ალუმინის კომპოზიტური პანელები, ხის პერგოლები და სხვა დეკორატიული მასალები.

აღსანიშნავია, რომ პროექტის წარმატებულად განხორციელების მე-9 წლისთავზე კომპანიამ კომპლექსის ახალი ფაზის, „ისთ ფოინთი 2-ის“, აშენების დაკვეთა მიიღო.

## 2015 – CONSTRUCTION IS COMPLETED ON THE FIRST TRADE AND ENTERTAINMENT CITY IN TRANSCAUCASIA

In 2013, the company initiated the implementation of one of its largest ever projects. Under its framework, Anagi built a shopping and entertainment city, covering 100,000 square meters of construction space.

The East Point shopping complex, located on the Kakheti Highway, consists of four independent blocks. Brick texture tiles, aluminum composite panels, wooden pergolas, and other decorative materials each adorn the complex’s diverse facades, thereby enhancing its architectural appeal.

It should also be noted that on the 9th anniversary of successful project completion, the company received an order to construct East Point 2, the latest phase of the complex.



# ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ
# THE SEVENTEENTH STORY

## 2017 ᲬᲔᲚᲘ – ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ანაგის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთულად შესასრულებელი პროექტი იყო „გალერია თბილისი“.

სირთულეს განაპირობებდა მთელი რიგი ფაქტორები: სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, დემონტაჟი უნდა ჩატარებოდა ცენტრალური უნივერმაღის არსებულ შენობას, მშენებლობა მეტროსადგურის გვირაბის თავზე მიმდინარეობდა, არსებულ შენობაში განთავსებული იყო სამი მოქმედი თეატრი.

მიუხედავად ამისა, მშენებლობა ისე წარიმართა, რომ მოედანზე ტრანსპორტის მოძრაობა არ შეფერხებულა, მეტროს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია ისევე, როგორც იმ ტერიტორიაზე მდებარე თეატრებს, ისინიც ჩვეულებრივ აგრძელებდნენ მუშაობას.

## 2017 – COMPLETION OF ONE OF THE MOST DIFFICULT PROJECTS IN THE HISTORY OF THE COMPANY

Galleria Tbilisi was one of the most significant projects and, equally, one which was rather challenging to implement.

Its complexity was determined by a number of factors: the construction occurred in the central square of the capital, the original structure of the department store had to be dismantled, the building was above the tunnels of the metro station, and the existing structure housed three operational theaters.

Nevertheless, construction was executed in such a manner that traffic in the square was not disrupted, the metro continued normal operations, while the theaters also continued to function uninterrupted.

# გალერია თბილისი
# GALLERIA TBILISI






## ამბავი მეთვრამეტე
## THE EIGHTEENTH STORY

### 2018 წელი – დასრულდა ამიერკავკასიაში პირველი თვითმფრინავის კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა

2016 წელს ქართულ ბაზარზე შემოდის ახალი ინვესტორი, საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანია „Elbit Systems“, რომელიც აწარმოებს საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სისტემებსა და პროდუქციას მთელ მსოფლიოში. მისი დამკვეთები არიან ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა: „Boeing“, „Sikorsky“, „Lockheed Martin“, „Northrop Grumman“, „Bombardier“, აშშ-ს საჰაერო ძალები, აშშ-ს საზღვაო ფლოტი და მრავალი სხვა.

კომპანიის მიზანი იყო მაღალტექნოლოგიური საწარმოს გახსნა საქართველოში, რისთვისაც მან კომპანია „ანაგი“ დაიქირავა.

### 2018 – CONSTRUCTION COMPLETED ON THE FIRST AIRCRAFT COMPOSITE PARTS MANUFACTURING PLANT IN TRANSCAUCASIA

In 2016, a new investor, the international high-tech company, Elbit Systems, entered the Georgian market. Their company specializes in producing air, ground, and marine systems and products all over the world. Among its clientele are various leading organizations, including Boeing, Sikorsky, Lockheed Martin, Northrop Grumman, Bombardier, and the United States Air Force and Navy.

Intending to establish a high-tech enterprise in Georgia, the organization engaged Anagi Construction Company to construct their specialist manufacturing plant.

# ამბავი მეცხრამეტე
# THE NINETEENTH STORY

## 2018 წელი – „ანაგი“ ერთვება დედაქალაქის ისტორიული უბნების ყველაზე მასშტაბურ სარეკონსტრუქციო სამუშაოებში

2017 წელს სამშენებლო კომპანია „ანაგმა“ მონაწილეობა მიიღო „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ითვალისწინებდა დედაქალაქის ისტორიული უბნების ყველაზე მასშტაბურ რეაბილიტაციას. „ანაგი“ ამ ტენდერის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა და 2018 წლის დასაწყისში დაიწყო სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოები.

2018 წელს იმავე პროექტის, „ახალი ტფილისის“, ფარგლებში „ანაგმა“ კიდევ ერთი ისტორიული მნიშვნელობის, კერძოდ კი, გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები 2023 წელს დასრულდა. აიგო 7 ახალი შენობა, ხოლო 6 შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

## 2018 – ANAGI IS INVOLVED IN THE LARGEST-SCALE RECONSTRUCTION WORK ON TBILISI HISTORICAL DISTRICTS

In 2017, Anagi participated in a tender announced by the Tbilisi Development Fund, which had organized significant rehabilitation of the historical districts of the capital. Several companies participated in the tender, including Anagi, which won with its proposal for the rehabilitation of Orbeliani Square. At the beginning of 2018, the reconstruction and construction works commenced.

Moreover, within the same framework of the New Tbilisi Project, Anagi began rehabilitation of another historical site, Gudiashvili Square. These efforts were completed in 2023, including seven new buildings and six reconstructions.



# ორბელიანის მოედანი
# ORBELIANI SQUARE



## 2019 ᲬᲔᲚᲘ – „FORBES GEORGIA-Მ“ „ᲐᲜᲐᲒᲘ“ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲓ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

2019 წელს „ფორბს ჯორჯიასა“ და საკონსულტაციო კომპანია „ებით გრუფის“ პარტნიორობით შედგენილ საქართველოს სამშენებლო კომპანიების რეიტინგში, რომელიც „გრანტ ტორნტონის“ მიერაა დადასტურებული და ისეთ კრიტერიუმებს ითვალისწინებს, როგორებიცაა: კომპანიის მთლიანი შემოსავალი, წმინდა მოგება და აქტივების მოცულობა, „ანაგმა“ პირველი ადგილი დაიკავა.

## 2019 – FORBES GEORGIA RANKS ANAGI AS LEADER IN THE CONSTRUCTION INDUSTRY

Anagi emerged as the lead company in the 2019 rankings of construction companies in Georgia, this emerged as a collaborative effort between Forbes Georgia and the Ebit Group consulting company. The ranking, confirmed by Grant Thornton, takes into account criteria like total revenue, net profit, and asset volume.



# ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲪᲔ
## THE TWENTIETH STORY



# ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ
# THE TWENTY-FIRST STORY

## 2019 ᲬᲔᲚᲘ – ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲐᲜᲐᲒᲘ ᲓᲔᲕᲔᲚᲝᲞᲛᲔᲜᲢᲘ“

კომპანიის დაარსებიდან 30 წლის თავზე „ანაგის“ მენეჯმენტმა დეველოპმენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. დაფუძნდა კომპანია „ანაგი დეველოპმენტი“, რომლის პირველი პროექტის, „პარკ ჰოუმ ვაკეში“, მშენებლობა 2023 წელს დაასრულა.

„პარკ ჰოუმ ვაკეში“ იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ბინების 100% მშენებლობის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე გაიყიდა. კომპლექსის წინასწარი გაყიდვების მაღალმა მაჩვენებელმა „ანაგი დეველოპმენტის“ მენეჯმენტს გადააწყვეტინა, განეხორციელებინა კიდევ სამი პროექტი:  „პარკ ჰოუმ საბურთალოზე“, „სითი ჰოუმ ავლაბარში“ და  „სითი ჰოუმ ყიფშიძეზე“.

## 2019 – THE ANAGI DEVELOPMENT COMPANY IS FOUNDED

Three decades after its establishment, Anagi management decided to venture into development. The Anagi Development Company was thus founded, and the development of its first project, Park Home Vake, was completed in 2023.

Due to the tremendous success of Park Home Vake, every apartment was sold months before completion. The high rate of pre-sales in the complex compelled the Anagi Development management to execute three additional projects – Park Home Saburtalo, City Home Avlabari, and City Home Kipshidze.



LRQA

Current issue date: 28 July 2022
Expiry date: 3 September 2025
Certificate identity number: 10460675

Original approval(s):
ISO 45001 - 4 September 2019

# Certificate of Approval

This is to certify that the Management System of:

**ANAGI Ltd**

37-39, Kostava Str. 0179, Tbilisi, Georgia

has been approved by LRQA to the following standards:

**ISO 45001:2018**

Approval number(s): ISO 45001 – 00021881

**The scope of this approval is applicable to:**
Civil and Industrial Construction

Area Operations Manager, Europe

Issued by: LRQA Limited

# ამბავი ოცდამეორე
# THE TWENTY-SECOND STORY

## 2019 წელი – „ანაგი“ გახდა პირველი ქართული სამშენებლო კომპანია, რომელმაც ISO 45001 მიიღო

„ანაგის“ ერთ-ერთ უმთავრესი ამოცანაა თანამშრომელთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ზრუნვა მათი ჯანმრთელობის დასაცავად.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განსახორციელებლად კომპანია მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს.

აღსანიშნავია, რომ „ანაგი“ იყო პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც 2019 წელს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მენეჯმენტის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის ISO 4500: 2018-ის „Lloyd’s Register-ის“ სერტიფიკატი მიიღო.

ამასთანავე, „ანაგი“ პირველი სამშენებლო კომპანია იყო საქართველოში, რომელმაც შექმნა შრომის უსაფრთხოების სამსახური.

## 2019 – ANAGI BECOMES THE FIRST GEORGIAN CONSTRUCTION COMPANY TO RECEIVE ISO 45001

Ensuring employee safety and protecting their health remains a primary responsibility for Anagi. As such, the company executes a variety of procedures to enforce a clear labor safety policy.

Notably, in recognition of its effective operation of a health and safety management system, Anagi was the first Georgian company to be awarded the Lloyd’s Register ISO 45001:2018 certification.

Additionally, Anagi acted as a pioneer among Georgian construction companies in its establishment of a labor safety service.

# ამბავი ოცდამესამე
THE TWENTY-THIRD STORY



## 2020 წელი – „ანაგმა“ და „ინფრა კონსტრაქშენმა“ ახალი კომპანია დააფუძნეს

კომპანია „ინფრა კონსტრაქშენის“ პროფილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გულისხმობს. 2020 წელს „ანაგმა“ და „ინფრა კონსტრაქშენმა“ კომპანია „ანაგი ინფრა კონსტრაქშენი“ დააფუძნეს. ამ თანამშრომლობის ფარგლებში „ანაგს“ საშუალება მიეცა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, როგორებიც არის: ჰესების, საავტომობილო გზების, ხიდების, წყალსაცავებისა და რეზერვუარების მშენებლობა.

პირველი ასეთი წარმატებული პროექტი იყო წყლის ხელოვნური რეზერვუარები, რომლებიც  2023 წლის ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაიგეგმა. რეზერვუარები დაბა ბაკურიანში ორ სხვადასხვა ადგილას, ზღვის დონიდან 2 000 და 2 100 მეტრზე მოეწყო.

მეორე პროექტის განხორციელება „ანაგი ინფრა კონსტრაქშენმა“  შუახევის მუნიციპალიტეტში, ჩირუხში, დაიწყო, სადაც ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე გრძელ ორზოლიან ზიპლაინს აშენებს. ზიპლაინის ზედა სადგური „ანაგის“ პროექტებს შორის ყველაზე მაღლა - ზღვის დონიდან 2 450 მეტრზე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ზიპლაინის დაპროექტება, მშენებლობა და სერტიფიცირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს.

## 2020 – ANAGI AND INFRA CONSTRUCTION FOUND A NEW COMPANY

Anagi and the Infra Construction Company – which specializes in executing diverse infrastructural projects – founded Anagi Infra Construction in 2020. As a result of this partnership, Anagi has been given the opportunity to implement such infrastructural projects as the construction of hydroelectric power plants, highways, bridges, reservoirs, and water-storage tanks.

The first such successful project included artificial snowmaking water reservoirs specifically devised for the 2023 Winter World Cup. These reservoirs were arranged in two different locations, at elevations of 2,000 and 2,100 meters above sea level, within the Bakuriani municipality.

As part of the implementation of its second project, Anagi Infra Construction has also started construction on one of the longest two-lane ziplines in Europe. Among these Anagi projects, the top zipline station, situated 2,450 meters above sea level on Chirukhi Mountain in the Shuakhevi municipality, is the highest structure. It is noteworthy that the construction, design, and certification of the zipline all fully adhere to European Union standards.

# ამბავი ოცდამეოთხე
# THE TWENTY-FOURTH STORY



## 2021 წელი – დასრულდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის მშენებლობა

„ანაგის“ მიერ აშენებული ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებიდან გამორჩეულია ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალი.

პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ახალი ტერმინალის აშენებას, არსებულ ტერმინალთან მიერთებასა და მის რეკონსტრუქციას, „ანაგმა“ 3 წელში დაასრულა.

პროექტს გამოარჩევს ამფითეატრის ტიპის მქონე ღია მოსაცდელი სივრცე, სადაც მგზავრებს დეკორატიული მცენარეებით მორთულ სივრცეში შეუძლიათ დროის გატარება.

## 2021 – CONSTRUCTION COMPLETED ON KUTAISI INTERNATIONAL AIRPORT TERMINAL

Among Anagi’s numerous developments, Kutaisi International Airport terminal stands out as a project of strategic importance for Georgia.

The project, which took Anagi three years to complete, involved the construction of a new terminal, as well as connection to the existing terminal and its reconstruction. The main architectural concept is found within its open waiting area, with an amphitheater-like layout, where passengers can relax in a space adorned with decorative plants.

# ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი
# KUTAISI INTERNATIONAL AIRPORT



# ამბავი ოცდამეხუთე
THE TWENTY-FIFTH STORY



## 2022 წელი – დასრულდა ქართული კომპანიის მიერ აშენებული უეფას IV კატეგორიის პირველი საფეხბურთო სტადიონი

ბათუმის საფეხბურთო სტადიონი „აჭარაბეთ არენა“ ქართული კომპანიის მიერ აშენებული უეფას IV უმაღლესი კატეგორიის პირველი სტადიონია საქართველოში. სტადიონს გამოარჩევს არქიტექტურული მემბრანით შემოსილი ფასადი, რომელიც ქართული ეროვნული ცეკვის, „ხორუმის“, კონცეფციითაა შთაგონებული.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს „ანაგის“ აშენებული „აჭარაბეთ არენა“ „FIABCI-Georgia Prix d'Excellence Awards 2022-ის“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში „საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა“, ხოლო 2023 წლის ივნისში ქალაქ მაიამიში გამართულ „FIABCI World Prix d'Excellence-ის“ მსოფლიო დაჯილდოებაზე იმავე ნომინაციაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

„საკუთარი ოჯახის წევრი რომ დიდ წარმატებას მიაღწევს, რითაც ძალიან ამაყობ, ზუსტად ისეთივე განცდაა, როცა უყურებ შენს მშობლიურ ქალაქში შენი კომპანიის მიერ შესრულებულ პროექტს“ – ზაზა გოგოტიშვილი.

## 2022 – THE FIRST UEFA CATEGORY IV FOOTBALL STADIUM BUILT BY A GEORGIAN COMPANY WAS COMPLETED

Batumi football stadium, the Adjarabet Arena, became the first category IV stadium, UEFA's highest status, in the country, and it was built by a Georgian company. The stadium is distinguished by its façade, which is covered with an architectural membrane, and inspired by the concept of "Khorumi", the Georgian national dance.

It should be noted that Adjarabet Arena received a gold award in 2022 within the Public Infrastructure category at the FIABCI-Georgia Prix d'Excellence Awards. In addition, in June 2023, at the FIABCI World Prix d'Excellence, held in Miami, it secured a silver medal in the same category on the global level.

"Seeing a project completed by one's own company in one's hometown evokes a sense of pride similar to when a family member achieves great success" – expressed Zaza Gogotishvili.




# ამბავი ოცდამეექვსე
# THE TWENTY-SIXTH STORY

## 2022 წელი – დასრულდა პირველი საგანმანათლებლო-საინვესტიციო პროექტის განხორციელება

სამშენებლო კომპანია „ანაგმა“ 2022 წელს განახორციელა თავის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ინვესტიცია საგანმანათლებლო სფეროში და გახდა ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა „პროგრესის“ ბათუმის ფილიალის თანაინვესტორი.

აღსანიშნავია, რომ სასწავლებელი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული დაწესებულებაა, რომელიც პასუხებოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს, აქვს განათლების ორმაგი (ქართული და ამერიკული) აღიარების სტანდარტი. სკოლის მისიაა, შექმნას უსაფრთხო, ჯანსაღი და მზრუნველი სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე მიაღწევს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს თანასწორობის პრინციპების დაცვით, ისწავლის განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემას.

## 2022 – THE FIRST EDUCATIONAL-INVESTMENT PROJECT WAS SUCCESFULLY COMPLETED

In 2022, Anagi made the largest educational investment in its history by becoming a co-investor of the Batumi branch of the Georgian-American International School Progress.

Notably, this educational institution is among the most successful in Georgia, adhering to both local and international standards and possessing dual (Georgian and American) accreditation. The school's mission is to foster a safe, healthy, and nurturing learning environment, one in which each student can maximize their potential while embracing the principles of equality and learning to respect diverse opinions and cultures.

# ამბავი ოცდამეშვიდე
# THE TWENTY-SEVENTH STORY







## 2022 წელი – „ანაგი“ და „ჯითისი“ პარტნიორები გახდნენ

2022 წელს „ანაგი“ მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს და კომპანია „ჯითისის“ 50%-იანი წილის მფლობელი ხდება.

„ჯითისი“ მსოფლიოში წამყვანი საყალიბე ინვენტარის მწარმოებლის, ავსტრიული კომპანია „Doka-ს“, ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში. ამ პარტნიორობით „ანაგი“ კომპანია „ჯითისისთან“ ერთად „Doka-ს“ წარმომადგენელი ხდება, რაც საშუალებას აძლევს „ანაგს“ ავსტრიული კომპანიის წარმოებულ ახალ ტექნოლოგიებთან სწრაფ წვდომასა და სამშენებლო პროცესში მათ ეფექტიან გამოყენებას.

---

## 2022 – ANAGI AND GTC BECOME PARTNERS

In 2022, Anagi made a significant investment and purchased a 50% share of the GTC Group.

GTC is the exclusive distributor in Georgia for the Austrian company, Doka, the world’s leading mold inventory manufacturer. Through this partnership, the company becomes a Doka representative together with GTC, thus giving Anagi quick access to the new technologies produced by Doka, and enabling their effective use in construction processes.

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ 4 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ:

SEE OUR 4-YEAR ANNUAL TURNOVER BELOW:






# ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲠᲕᲔ

THE TWENTY-EIGHTH STORY

## 2023 ᲬᲔᲚᲘ – „ᲐᲜᲐᲒᲛᲐ“ 2023 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲠᲓᲝ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ

კომპანიის სტაბილურობისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი მისი ფინანსური მონაცემებია. 2023 წელს „ანაგის“ წლიურმა ბრუნვის მაჩვენებელმა კომპანიის ისტორიაში ყველაზე მაღალ ნიშნულს, 405 000 000 ლარს, მიაღწია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის ბოლო 4 წლის ფინანსური მონაცემები სტაბილურად მზარდი იყო.

## 2023 – ANAGI ENDS 2023 WITH A RECORD FINANCIAL TURNOVER

The financial success of any company is the primary measure of its stability and development – Anagi’s 2023 annual turnover of 405,000,000 GEL was the biggest in the company’s history. It should also be highlighted that across the last four years, the company’s finances have gradually been increasing.







# ამბავი ოცდამეცხრე
THE TWENTY-NINTH STORY

## 2023 წელი – გაფორმდა კომპანიის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ხელშეკრულება

2023 წელს „ანაგი“ იწყებს კომპანიის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური პროექტის განხორციელებას, რომლის ღირებულებაც 530 000 000 ლარს შეადგენს.

„ანაგმა“ 2023 წელს მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისთვის საცხოვრებელი კორპუსების აშენებას. საცხოვრებელი სახლები თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში შენდება. პროექტის მიხედვით, დაგეგმილია სულ 20 საცხოვრებელი კორპუსისა და 6000-ამდე ბინის აშენება.

## 2023 – THE COMPANY SIGNS THE MOST LARGE SCALE CONTRACT IN ITS HISTORY

In 2023, Anagi began implementation of the largest scale project in the company's history – with a budget of GEL 530,000,000.

The Georgian Ministry of Labor, Health, and Social Protection announced a tender covering the construction of housing for families of those internally displaced people from occupied Georgian territories. The project itself is for the construction of a total of 20 residential buildings, with up to 6,000 apartments. Under Anagi's winning tender, residential homes are being built in Tbilisi, Kutaisi, and in Zugdidi.

# ამბავი ოცდამეათე
# THE THIRTIETH STORY



## 2023 წელი – ეროვნულ ბიბლიოთეკასა და „ანაგს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

2023 წლის 10 მაისს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სამშენებლო კომპანია „ანაგს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, სამშენებლო კომპანია „ანაგი“ ივანე მაჩაბლის სახელობის სამკითხველო დარბაზის სრულ რეაბილიტაცია-რესტავრაციას განახორციელებს.

ივანე მაჩაბლის სახელობის სამკითხველო დარბაზი მდებარეობს ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიულ პირველ კორპუსში, რომელიც თავის დროზე პირველი ქართული ბანკის შენობა იყო. ის ცნობილმა არქიტექტორმა ანატოლი კალგინმა ააშენა 1912-1916 წლებში.

---

## 2023 – A MEMORANDUM OF COOPERATION IS SIGNED WITH THE NATIONAL LIBRARY

In May of 2023, a memorandum of cooperation was signed between the National Library and Anagi. Under this memorandum, Anagi has been tasked with completing the rehabilitation and restoration of the reading hall named after Ivane Machabeli.

The reading hall is located in the historical first building of the National Library, which at the time housed the first Georgian bank, and was built by the famous architect Anatoly Kalgin from 1912-1916.



# ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ
THE THIRTY-FIRST STORY

## 2023-2024 ᲬᲚᲔᲑᲘ – „ᲐᲜᲐᲒᲘ“ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 12 ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი, ზუგდიდი, ფოთი, თელავი, ოზურგეთი, მუხროვანი, კაჭრეთი, გოდერძის უღელტეხილი, კვარიათი – ეს არის სრული ჩამონათვალი იმ ქალაქებისა და რაიონებისა, სადაც „ანაგი“ ერთდროულად ახორციელებდა მშენებლობას 2023-2024 წლებში.

## 2023-2024 – ANAGI IS BUILDING IN 12 DIFFERENT GEORGIAN LOCATIONS SIMULTANEOUSLY

The complete list of cities and districts in which Anagi was simultaneously carrying out construction in 2023-2024 includes Tbilisi, Kutaisi, Batumi, Kobuleti, Zugdidi, Poti, Telavi, Ozurgeti, Mukhrovani, Kachreti, Goderdzi Pass, and Kvariati.

# ამბავი ოცდამეთორმეტე
## THE THIRTY-SECOND STORY

### 2024 წელი – საიუბილეო წელს „ანაგი“ ყველაზე მეტი მიმდინარე პროექტით ხვდება

35-ე საიუბილეო წელს „ანაგი“ კომპანიის არსებობის ისტორიაში ყველაზე მეტი, 30, მიმდინარე პროექტით ხვდება.

### 2024 – ANAGI MEETS ITS 35TH ANNIVERSARY YEAR WITH ITS GREATEST NUMBER OF ONGOING PROJECTS

With thirty active projects, Anagi marked its 35th anniversary with the greatest number of projects in the company’s history.







# ამბავი ოცდამეცამეტე
THE THIRTY-THIRD STORY

## 2024 წელი – კომპანიის აშენებული საერთო სამშენებლო ფართი უკვე 7 000 000 მ²-ს მოიცავს

2024 წლის მონაცემებით კომპანია „ანაგის“ აშენებულმა საერთო ფართმა 7 000 000 მ² მიაღწია.

## 2024 – ANAGI'S TOTAL CONSTRUCTION AREA REACHES 7,000,000 M²

According to 2024 data, Anagi Construction Company has now achieved a total construction area of 7,000,000 m².






# ამბავი ოცდამეთოთხმეტე / THE THIRTY-FOURTH STORY

## 2024 წელი – დამკვეთების რაოდენობა 200-მდე გაიზარდა

სამშენებლო კომპანია „ანაგს“ 200-ზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი დამკვეთი ჰყავს, მათ შორისაა: უმსხვილესი საერთაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია „MACE International“, მსხვილი უცხოური ორგანიზაციები, როგორებიც არის: „Behlen“ და „Elbit Systems“, საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები („Hilton“, „IBIS“), ცნობილი საავტომობილო ბრენდების ოფიციალური წარმომადგენლები („Ford“, „AUDI“, „Toyota“), საქართველოს წამყვანი დეველოპერული კომპანიები, ფინანსური ინსტიტუტები, სახელმწიფო სტრუქტურები და ფიზიკური პირები.

## 2024 – THE NUMBER OF CUSTOMERS INCREASES TO 200

Anagi Construction Company has more than 200 domestic and foreign customers, including the largest international construction organization MACE, large foreign organizations such as Behlen and Elbit Systems, international brand hotels (Hilton, IBIS), official representatives of famous automobile brands (Ford, AUDI, Toyota), leading Georgian development companies, financial institutions, state structures, and individuals.

# ამბავი ოცდამეთხუთმეტე
THE THIRTY-FIFTH STORY

ანაგი
სამშენებლო კომპანია
35
წ ლ ი ს ა ა
Y E A R S

სამშენებლო კომპანია "ანაგი"
თბილისი, საქართველო, 2024

ANAGI CONSTRUCTION COMPANY
TBILISI, GEORGIA, 2024

WWW.ANAGI.GE